საქართველოს
ფინანსთა სამინისტრო

MINISTRY OF FINANCE
OF GEORGIA

№ 07-02/11613 „1" 09 2009

თქვენს №

საქართველოს საგარეო საქმეთა
მინისტრის მოადგილეს
ქალბატონ ნინო კალანდაძეს

ქალბატონო ნინო,

დეპონირებისათვის გიგზავნით 2009 წლის 20 აგვისტოს საქართველოსა და აზიის განვითარების ბანკს (ADB) შორის გაფორმებულ "მუნიციპალური მომსახურების განვითარების პროექტი – ფაზა II"-ს სასესხო ხელშეკრულების ორიგინალს და მის არაოფიციალურ ქართულ თარგმანს.

ამასთანავე გთხოვთ უზრუნველყოთ "მუნიციპალური მომსახურების განვითარების პროექტი – ფაზა II"-ს სასესხო ხელშეკრულების ძალაში შესვლისათვის საჭირო პროცედურების განხორციელება.

ამასთან, საქართველოს ფინანსთა სამინისტრო მიიჩნევს, რომ წარმოდგენილი ხელშეკრულება შეესაბამება საქართველოს ეკონომიკურ ინტერესებს და სავარაუდოა, რომ აღნიშნული, საფინანსო-ეკონომიკური თვალსაზრისით დადებით შედეგს მოიტანს.

**დანართი:** 1."მუნიციპალური მომსახურების განვითარების პროექტის – ფაზა II"-ს სასესხო ხელშეკრულების ორიგინალი და მისი არაოფიციალური ქართული თარგმანი;
2. საქართველოს იუსტიციის სამინისტროს 25.06.09 წლის №01/23/13-6282 წერილის ასლი;
3. საქართველოს ეკონომიკური განვითარების სამინისტროს 25.06.09 წლის №14/1954/3-9 წერილის ასლი;
4. საქართველოს ეროვნული ბანკის 24.06.2009 წლის №2-03/1338 წერილის ასლი;
5. საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროს 25.06.09 წლის №2/86/2-14 დასკვნის ასლი;
6. საქართველოს რეგიონალური განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს 24.06.09 წლის №939 წერილის ასლი
7. საქართველოს მუნიციპალური განვითარების ფონდის 25.06.09 წლის №1796-გ წერილის ასლი
8. საქართველოს პრეზიდენტის 2009 წლის 6 ივლისის №461 განკარგულების ასლი
10. საქართველოს პრეზიდენტის 2009 წლის 6 ივლისის №379 ბრძანებულების ასლი
11. შეთანხმების ფურცელი

პატივისცემით,

დიმიტრი გვინდაძე
მინისტრის მოადგილე

2558

**საგარეო საქმეთა სამინისტრო**

**MINISTRY OF FOREIGN AFFAIRS**

№ 2/8612-14

25. 06. 2009

# საქართველო
# GEORGIA

26.06.09

საქართველოს ფინანსთა სამინისტრო

თქვენი 2009 წლის 19 ივნისის N07-02/7852 წერილის პასუხად, გიგზავნით საგარეო საქმეთა სამინისტროს დასკვნას "საქართველოსა და აზიის განვითარების ბანკს შორის სასესხო ხელშეკრულების (განსაკუთრებული ოპერაციები) (მუნიციპალური მომსახურების განვითარების პროექტი – ფაზა II) პროექტზე".

რაც შეეხება "საპროექტო ხელშეკრულების" პროექტს, გაცნობებთ, რომ აღნიშნული დოკუმენტი "საქართველოს საერთაშორისო ხელშეკრულებების შესახებ" საქართველოს კანონის მოთხოვნათა შესაბამისად, არ წარმოადგენს საერთაშორისო ხელშეკრულების პროექტს და შესაბამისად, საგარეო საქმეთა სამინისტრო მოკლებულია მასზე დასკვნის მომზადების შესაძლებლობას.

დანართი: 1 ფურცელი

ირაკლი გიქიაშვილი

საერთაშორისო სამართლებრივი დეპარტამენტის დირექტორი

25.06.09

0118 Tbilisi, Shio Chitadze st. №4; Georgia. Tel: (995 32) 284648; Fax: (995 32) 284678
www.mfa.gov.ge

1590
25.06.09.

საქართველო
GEORGIA

საგარეო საქმეთა სამინისტრო
MINISTRY OF FOREIGN AFFAIRS
№ 255/14
25.06.2009

### დასკვნა

### საქართველოსა და აზიის განვითარების ბანკს შორის სასესხო ხელშეკრულების (განსაკუთრებული ოპერაციები) (მუნიციპალური მომსახურების განვითარების პროექტი - ფაზა II) პროექტზე

საგარეო საქმეთა სამინისტრომ განიხილა საქართველოსა და აზიის განვითარების ბანკს შორის სასესხო ხელშეკრულების (განსაკუთრებული ოპერაციები) (მუნიციპალური მომსახურების განვითარების პროექტი - ფაზა II) პროექტი და ქვეყნის საგარეო პოლიტიკური და ეკონომიკური პრიორიტეტების გათვალისწინებით, მიზანშეწონილად მიაჩნია, წარმოდგენილი ხელშეკრულების დადება.

დავით ჯალაღანია
მინისტრის მოადგილე

0118 Tbilisi, Shio Chitadze st. №4; Georgia. Tel: (995 32) 284648; Fax: (995 32) 284678
www.mfa.gov.ge

ОТ: ТЕЛ: 31 МАЙ. 2008 04:03 СТР1

25.06.2009

# საქართველოს იუსტიციის სამინისტრო
# MINISTRY OF JUSTICE OF GEORGIA

№ 04/23/13-6282

25. 06 2009 წ.

საქართველოს ფინანსთა მინისტრის მოადგილეს

ბატონ დიმიტრი გვინდაძეს

ბატონო დიმიტრი,

საქართველოს იუსტიციის სამინისტრომ განიხილა თქვენი ა/წ 19 ივნისის №07-02/7852 წერილით წარმოდგენილი „მუნიციპალური მომსახურების განვითარების პროექტის II ფაზასთან“ დაკავშირებით საქართველოსა და აზიის განვითარების ბანკს შორის გასაფორმებელი „სასესხო ხელშეკრულებისა“ და აზიის განვითარების ბანკსა და საჯარო სამართლის იურიდიულ პირს - მუნიციპალური განვითარების ფონდს შორის გასაფორმებელი „საპროექტო ხელშეკრულების“ პროექტები, რომელთან დაკავშირებითაც გაცნობებთ, რომ ხელშეკრულებების არაერთი დებულების შესაბამისად განსაზღვრულია საჯარო სამართლის იურიდიულ პირის - მუნიციპალური განვითარების ფონდის მიერ გრანტის სახით სესხის თანხების მუნიციპალურ მთავრობებზე გადაცემის უფლება-ვალდებულება, რაც თავის მხრივ წინააღმდეგობაში მოდის „გრანტების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-3 მუხლთან. მითითებული ნორმის თანახმად საჯარო სამართლის იურიდიული პირი არ წარმოადგენს გრანტის გამცემს.

აქვე გაცნობებთ, რომ წარმოდგენილი ხელშეკრულებების პროექტების მიმართ სხვა სამართლებრივი ხასიათის შენიშვნები არ გვაქვს.

პატივისცემით,

თ.

თინა ბურჯალიანი

მინისტრის პირველი მოადგილე

FROM : MinEconRegEconDepar PHONE NO. : 935155 Jun. 25 2009 11:58AM P1

**საქართველოს ეკონომიკური განვითარების სამინისტრო**

**MINISTRY OF ECONOMIC DEVELOPMENT OF GEORGIA**

№ 14/1954/3-9

25.06.2009წ.

საქართველოს ფინანსთა მინისტრის მოადგილეს,

ბატონ დიმიტრი გვინდაძეს

ბატონო დიმიტრი,

საქართველოს ეკონომიკური განვითარების სამინისტრომ განიხილა თქვენი 2009 წლის 19 ივნისის №07-02/7852 წერილით წარმოდგენილი, მუნიციპალური განვითარების პროექტის II ფაზასთან დაკავშირებით, საქართველოსა და აზიის განვითარების (ADB) ბანკს შორის გასაფორმებელი „სესხის ხელშეკრულებისა" და აზიის განვითარების ბანკსა და საჯარო სამართლის იურიდიულ პირს – მუნიციპალური განვითარების ფონდს შორის გასაფორმებელი „საპროექტო ხელშეკრულების" პროექტები.

წარმოდგენილი ხელშეკრულების პროექტებთან დაკავშირებით გაცნობებთ, რომ სამინისტროს კომპეტენციის ფარგლებში შენიშვნები არ გააჩნია.

პატივისცემით,

ლევან პატაშვილი

მინისტრის მოადგილე

№1589.
25.06.09.

FROM : NBG FAX NO. : 442577 Jun. 24 2009 04:44PM P1

24.06.09

საქართველოს ეროვნული ბანკი

0105, თბილისი, ლეონიძის 3/5
ტელ. 44 24 03, 44 21 20, ფაქსი 44 25 77
ტელექსი: 212952 LEGAL.GI
ელ. ფოსტა info@nbg.gov.ge
kodi: 20410484

24-06.2009 № 2-03/1338
თქვენი 2009 წლის 19 ივნისის N 07 02/7852 წერილზე

საქართველოს ფინანსთა
მინისტრის მოადგილეს
ბატონ დ. გვინდაძეს

ბატონო დიმიტრი,

საქართველოს ეროვნულმა ბანკმა განიხილა მუნიციპალური მომსახურების განვითარების პროექტის მე-II ფაზასთან დაკავშირებული საქართველოსა და აზიის განვითარების ბანკს (ADB) შორის გასაფორმებელი „სასესხო ხელშეკრულების" პროექტი და აზიის განვითარების ბანკსა და საჯარო სამართლის იურიდიულ პირს – საქართველოს მუნიციპალური განვითარების ფონდს შორის გასაფორმებელი „საპროექტო ხელშეკრულების" პროექტის ტექსტის საბოლოო ვარიანტი.

გაცნობებთ, რომ საქართველოს ეროვნულ ბანკს თავის კომპეტენციის ფარგლებში აღნიშნული დოკუმენტაციის მიმართ შენიშვნები არა აქვს.

პატივისცემით,

დავით ამაღლობელი
ეროვნული ბანკის ვიცე პრეზიდენტი

25.06.09

№1583
24.06.09

## საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტრო

## MINISTRY OF REGIONAL DEVELOPMENT AND INFRASTRUCTURE OF GEORGIA

№ 939

24 06 2009 წ


საქართველოს ფინანსთა მინისტრის მოადგილეს
ბატონ დ. გვინდაძეს

ბატონო დიმიტრი,

მ/წლის (19 ივნისის №07-02/7852) თქვენი წერილის პასუხად გაცნობებთ, რომ საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროში განხილული იქნა საქართველოსა და აზიის განვითარების ბანკს შორის "სასესხო ხელშეკრულებისა" და აზიის განვითარეიბის ბანკსა და მუნიციპალური განვითარების ფონდს შორის "საპროექტო ხელშეკრულების" პროექტები, რომელთა მოსალოდნელ შედეგებს წარმოადგენს საქართველოში მუნიციპალური ინფრასტრუქტურის, მომსახურებისა და ცხოვრების პირობების გაუმჯობესება.

აღნიშნული ხელშეკრულებების პროექტებით გათვალისწინებულია რა მუნიციპალური განვითარების ფონდისათვის სახსრების გამოყოფა იმ ქვეპროექტების დასაფინანსებლად, რომლებიც ხელს შეუწყობენ გზებისა და ქუჩების კეთილმოწყობას, ტრანსპორტის, წყალმომარაგების, კანალიზაციის, მყარი ნარჩენების გადამუშავებისა და სხვა მუნიციპალური მომსახურეობის დონის გაზრდას, წარმოდგენილი პროექტები მისაღებია და სამინისტროს შენიშვნები არ გააჩნია.

პატივისცემით

მინისტრის პირველი
მოადგილე

ჯამბულ ბაკურაძე

13895
26 06
9


ირაკლი აბაშიძის ქ. 7, თბილისი 0134; ტელ: (+995 32) 99 74 75; ფაქსი: (+995 32) 99 00 70

საქართველოს მუნიციპალური განვითარების ფონდი

**MUNICIPAL DEVELOPMENT FUND OF GEORGIA**

№ 1796-3/09 „25" 06 2009

26-06-2009

საქართველოს ფინანსთა მინისტრის
მოადგილეს ბატონ დ. გვინდაძეს

თქვენს მ/წლის 19 ივნისის №07-02/7852 წერილზე

ბატონო დიმიტრი,

თქვენს მიერ წარმოდგენილი მუნიციპალური მომსახურების განვითარების პროექტის II ფაზასთან დაკავშირებით გასაფორმებელი სასესხო და საპროექტო ხელშეკრულებათა პროექტების მიმართ შენიშვნები არ გაგვაჩნია.

პატივისცემით,

ლაშა გოცირიძე
აღმასრულებელი დირექტორი